თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1731330

ნომერი: AR1279449

თარიღი : 30.01.2015

გაცემის თარიღი : 13.02.2015

გაცნობის თარიღი : 13.02.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სტანისლავსკი , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ივანე მაზმიშვილი პ/ნ 43001001851
- თბილისი ხევძმარის ქ. N 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ფასადის რეკონსტრუქციის, სარეკლამო აბრისა და საჩრდილობლის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, სტანისლავსკის ქუჩა #12, შ.პ.ს. "ემემჯი-2008"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N 01.13.05.003.081), არსებული შენობის ფასადის რეკონსტრუქციის, სარეკლამო აბრისა და საჩრდილობლის მოწყობას, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882014194584 16/04/2014წ. საკადასტრო კოდი N 01.13.05.003.081; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, სტანისლავსკის ქუჩა #12, შ.პ.ს. "ემემჯი-2008"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N 01.13.05.003.081), არსებული შენობის ფასადის რეკონსტრუქციის, სარეკლამო აბრისა და საჩრდილობლის მოწყობის შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, იმ შემთხვევაში თუ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.